ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3291763

ნომერი: AR1503382

თარიღი : 12.05.2017

გაცემის თარიღი : 31.05.2017

გაცნობის თარიღი : 31.05.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N134 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნადირაძე პ/ნ 01024017910
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 29 ბ. 68

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 12 მაისის #AR1503382 განცხადება, ამავე სამსახურის 2014 წლის 15 სექტემბრის #1446928 და 2015 წლის 13 აგვისტოს #2061278 ბრძანებებში მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლის თაობაზე. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 15 სექტემბრის #1446928 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, შპს "ბიესი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.004.123), სავაჭრო–საოფისე შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 15 სექტემბრიდან 2015 წლის 15 თებერვლის ჩათვლით. სამსახურის 2015 წლის 13 აგვისტოს #2061278 ბრძანებით ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N134, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.004.123), მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 13.08.2015 -დან 13.01.2016-ის ჩათვლით. წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2014 წლის 15 სექტემბრის #1446928 და 2015 წლის 13 აგვისტოს #2061278 ბრძანებებში ცვლილების შეტანა და განმარტებულია, რომ მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების კორექტირების გამო შეიცვალა ნაკვეთის ფართობი და შესაბამისად, საკადასტრო კოდი, რის საფუძველზეც 2017 წლის 31 იანვარს საჯარო რეესტრის სამსახურის მიერ მომზადდა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. სამსახურის მიერ საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 15 სექტემბრის #1446928 ბრძანებაში მითითებულია: მიწის ნაკვეთის ფართობი - 4000.0 კვ.მ, ს.კ. #01.13.01.004.123. რაც შეეხება 2017 წლის 12 მაისის #AR1503382 განაცხადში აღნიშნულ მოთხოვნას, იგი წარმოადგენს შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილს და მისი ცვლილება საჭიროებს არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, არამედ სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (პროექტის კორექტირებას).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა ექნება 2014 წლის 15 სექტემბრის #1446928 ბრძანებით შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილების (პროექტის კორექტირების) მოთხოვნით წარმოდგენილი განაცხადისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
